ცნობის ფურცელი

№ 2537 კვირა, 27 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2537

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372,

დაბა ძველი სენაკი

სამშაბათს, 29 ივნისს (პეტრე-პავლობა დღეს) 1904 წელს, ახალ სობოროს მოედანზე გამართულ იქნება დიდი საინტერესო ქართული

ჭიდაობა.

1) იჭიდავებს კავკასიის ჯერ უძლეველი ფალავანი მეგრელი **ნესტორ ესებუა** პეტერბურგიდან ახლად ჩამოსულ რუსის უძლეველ ფალავან **ალექსი ჟუკოვთან**; გამარჯვებული მიიღებს ჯილდოთ 100 მან.; 2) **ვასო ნეფარიძე გიორგი გოგობერიძესთან**, გამარჯვებული მიიღებს 15 მანეთს; 3) **სარქის ბერიაშვილი ვასილი სკონქასთან**; 4) **ალექსი მირიაშვილი ვანო ბახტაძესთან**; 5) **ილიკო მაჭავარიანი კოლა ჯიჯიასთან**,

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევს 6 საათზე. ჭიდაობის დროს დაუკრავს დაფა-ზურნა და მუსიკა.

ამავე დღეს იქნება 12 სანაქებო ცხენის მარულა.

საღამოთი გაიმართება საინტერესო წარმოდგენა,—ბ-ნი ვალჩინსკი უჩვენებს ცოცხალ სურათებს: რუსეთ-იაპონიის ომი, იერიშის მიტანა პორტ-არტურზე, „პეტროპავლოვსკ“-ისა და ადმ. მაკაროვის დაღუპვა, სერბიის მეფე-დედოფლის სიკვდილი და სხვა საინტერესო სურათები.

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირ დაპირ ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკანდიტერო დარბაზში

იყიდება

მიტროფანე ლაღიძის

საუკეთესო ქარხნის ნამდვილი

ხილეულის

მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—5ქ.—12)

ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის

„კოლხიდა“-ს

საზოგადო კრება, რომელიც არ შესდგა 30 მაისს, წევრების კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, დანიშნულია 28 ივნისს, საღამოს 7 1/2 საათზე, საურთიერთო ბანკის სადგომში. (1—5კ.—2)

ქუთაისში

სასტუმრო „როსია“

ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის ნიკოლაძის სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გვერდით. (15—კ. ნ.—)5.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. ვ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ბ. ვ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყოროღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმის

ი. პ. ახალშენიშვილის

კაბინეთში 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე ავადმყოფების მიღება შეწყვეტილია. (5—

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აზორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—25)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ივნისი

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 24 ივნისს: „23 ივნისს, დილის 7 საათზე, იაპონელების ქვეითა და ცხენოსანი ჯარი გაჩნდა სენიუჩენის ჩრდილოეთით. ცხენოსანთა ნაწილი, ხუთ ესკადრონამდე, გაემართა სოფლებს ლუნშუიხესა, ცუეუზიატუნისა და ლუნძიატუნისაკენ. სამივე ეს სოფელი მდებარეობს სენიუჩენის ჩრდილოეთით, პირველი—8 ვერსის მანძილზე, ხოლო მეორე და მესამე—10 ვერსის მანძილზე. დილის 5 საათზე იაპონელების რაზმი, 3 ბატალიონისაგან შემდგარი, წავიდა მთიან ადგილებისაკენ. რაზმს უნდა გაევლო სიფანტაი (მდებარეობს სენიუჩენის აღმოსავლეთით, 17 ვერსის მანძილზე), ლიძიანტუნი (სიფანტაის აღმოსავლეთით 2 ვერსზე), ნანტაი, ჯუფუნზი და იუილინპუ (სენიუჩენ-გაიჩოუს გზაზე მდებარეობს, სენიუჩენიდან 22 ვერსზე). პოდპოლკოვნიკმა ზაპოლსკიმ შეაჩერა მტრის რაზმი დილის 10 საათზე, მაგრამ ამ დროს იაპონელებმა მარცხენა მხრიდან მოუარეს და ზაპოლსკი იძულებული გახდა თავისს რაზმით უკან წამოსულიყო. 23 ივნისს ჯარის უფროსს დილიდანვე ესმოდა, რომ სროლა მთაში ძლიერდებოდა; ამიტომ სიაოხეძაში გაჰგზავნა მაშველი ჯარი, ხოლო თვითონ დილის 9 საათზე სამხრეთისკენ წავიდა. ჯარის უფროსს უნდოდა, აქედან სიაოხეძაში წასულიყო, მაგრამ ამ დროს იაპონელებმა, რომელნიც სამხრეთიდან მიდიოდნენ რკინის გზის გაყოლებაზე, მოასწრეს ერთის ბატალიონისა და ოთხ ის ესკადრონით სიმაღლეების დაჭერა ტაოფიაპუსთან. ეს სიმაღლეები რკინის გზასთანაა, სენიუჩენიდან 11 ვერსზე, მდინარე ხოს მარჯვენა ნაპირზე. ამას გარდა იაპონელთა ორმა როტამ და ოთხმა ესკადრონმა გზა გადაგვილობეს სიმაღლეებზე, რკინის გზის მახლობლადვე (ტაოფიანპუს ჩრდილოეთით, 4 ვერსის მანძილზე). ამ ადგილოს მიდის გზა სალაძიდან. 23 ივნისს, დილით, იაპონელები საიერიშოდ წინ გამოემართნენ შანძუიდანაც, რომელიც მდებარეობს ჯუნფუძის დასავლეთით, 3 ვერსის მანძილზე. იაპონელების ამ ჯარმა შორიდან დაიწყო მოვლა და გაემართა მდინარე ცილინგოუს ხეობის სათავისაკენ, რომელიც გაიჩოუდან 13 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ერთმა ჩვენმა როტამ, რომელიც იცავდა უღელტეხილს სიადიანის სამხრეთით, დიდი წინააღმდეგობა გაუწია იაპონელებს, მაგრამ მტერი ისე მოაწვა, რომ ჩვენი როტა უკან უნდა დაწეულიყო. ამ ბრძოლის დროს ჩვენ დაგვიჭრეს როტის უფროსი და ორი აფიცერი. 23 ივნისს საღამოს 6 საათისთვის იაპონელთა 3 ბატალიონი თავისს არტილერიით დადგა ნანტაისა და ჯუნფუძის შუა. მოწინავე რაზმებმა დააყენეს იუილინპუსა და სიაოხეძეს მიდამოებში, მაგრამ 24 აპრილს დილით ამ ადგილებს თავი მიანებეს. ცნობაში არ მოგვიყვანია ის, თუ რამდენი კაცი დავკარგეთ 23 ივნისის ბრძოლებში. გამოირკვა, რომ დაჭრილ იქმნენ პორუჩიკები იაგონინი და კამენეცკი და ოხუთმეტამდე სალდათი. საზოგადოდ, 23 ივნისს შევამჩნიეთ, რომ იაპონელნი ერთად დაიძრნენ და წინ გამოელაშქრნენ ყველა ადგილებიდან, ზღვის ნაპირიდან დაწყებული მდ. ჩინსტანის ხეობამდე. მზვერავმა რაზმებმა 22 ივნისს ღამე შეამჩნიეს იაპონელთა ჯარის მოძრაობა სენიუჩენიდან ჩრდილოეთისაკენ, რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე. ამ რაზმს შეადგენდა ერთი დივიზია ქვეითა ჯარისა, ორი პოლკი ცხენოსნებისა და 60 ზარბაზანი. 24 ივნისს, დილით, სიაოხეძის მიდამოებში მზვერავებმა აღმოაჩინეს იაპონელთა დიდი ბანაკი. იმავე დღეს, დილის 4 საათ. და 30 წუთ., იაპონელთა ჯარი გაემართა წინ რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე და 8 საათზე დაიჭირა სიმაღლეები ბაოსიჯასთან. ჩვენი მზვერავები შეხვდნენ ერლდაგოუსთან და ჩაპანლინის უღელტეხილთან მტრის მოწინავე რაზმს, რომელთან შეტაკების დროსაც 1 ყაზახი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. პორუჩიკი ბულიგა და ერთი სალდათი, რომელთაც სხვებთან ერთად 20 ივნისს ნამაუსთან მტერი შემოერტყა, უვნებლად დაბრუნდნენ. წვიმა არა ყოფილა.“

ჩერეპოვეცი. ტეხნოლოგის მილიუტინის გემი „ნოვიკი“, რომელიც პეტერბურგის ვაჭართა ბირჟამ დაიქირავა დაჭრილების წასაყვან-წამოსაყვანად მდინარე ოლგით, ოთხშაბათს წავიდა ჩერეპოვეციდან. გემზე ექიმ-სანიტართა საკმაო რიცხვია და ყველაფრით კარგადაა მოწყობილი. ჯარების მობილიზაცია ჩერეპოვეცის, კირილოვისა და ბელოზერსკის მაზრებში სწრაფად და წესიერად მოხდა.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). ინგლისის გემი „ჩენტელჰემი“ 19 ივნისს მოიყვანეს ვლადივოსტოკში და იქ გააჩერებენ, სანამ საზღვაო დავლის სასამართლო არ გადასწყვეტს საქმეს. ეს გემი ოტარიდან მოდიოდა ფუზანს და მიჰქონდა რკინის გზის შპალები, რომელნიც წინადვე იყო გამოცხადებული სამხედრო კონდრაბანდად. გემი დაზღვეულია: თუ დაიჭირეს, პატრონებმა დამზღვევ საზოგადოებისაგან უნდა მიიღონ 10 ათასი გირვანქა სტერლინგი; შპალები დაფასებულია 6 ათას გირვანქად, საერთო ზარალი 60 ათას გირვანქა სტერლინგს უდრის.

26 ივნისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). აქ სერიოზულად არ სთვლიან ხმას, რომ რუსები სარგებლობენ ძიაჩოუთი, როგორც თავ-შესაფარ ნავთსადგურით. დღეს გამოქვეყნებულია ოფიციალური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, იაპონიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანია ნეიტრალიტეტს დაიცავსო. ამ ჟამად ბრძოლის ველზე ფრიად საყურადღებო ოპერაციები ხდება, რომელთაც საიდუმლოდ იცავს იაპონიის მთავრობა. დალნის დაჭერის შემდეგ მთავრობა სრულებით სდუმს პორტ-არტურის ალყის შემორტყმის შესახებ. იაპონიაში ღებულობდნენ სხვა-და-სხვა დაბნეულ ცნობებს ყოველნაირ წყაროებიდან. უმთავრესად-კი ჩინეთიდან. ამ ცნობების გამოქვეყნება ან საზღვარ-გარედ გადაცემა სასტიკადაა აკრძალული და დამნაშავეთ მძიმე სასჯელი ელით. არც იმ არმიაში, რომელმაც ალყა შემოარტყა ციხეს, არც ოკუსა და არც დაგუშანის არმიებში არ არის არც ერთი სამხედრო კორესპონდენტი. კუროკის არმიაში მყოფ უცხოელ კორესპონდენტებს არა აქვთ უფლება მოშორდნენ მათთვის დანიშნულ ორი ვერსის მანძილს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ლიაოდუნის აღმოსავლეთ სანაპიროდან მოსული ჩინელი ამბობს, რომ იაპონელთა ერთმა დივიზიამ მიაღწია 22 ივნისს დაგუშანის მთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფერდობს; ამ მთის მწვერვალი პორტ-არტურზე 3 მილის მანძილზეა დაშორებული. ეს დივიზია მთის ბილიკებით მოდიოდა, ხოლო მეორე დივიზია განაგრძობდა გზას მეზღვაურთა ბანაკისაკენ, პორტ-არტურის უმთავრეს გზით. ამ დივიზიამ ხსენებულ ბანაკთან მისასვლელად გაშლილი ალაგი უნდა გაიაროს; სამაგიეროდ, როცა-კი მიაღწევს დაგუშანის მთას და იქ გამაგრდება, მეზღვაურთა ბანაკის დაცვა შეუძლებელი გახდება.

ჩიფუ. (ბერლინის გზით). ხანგრძლივ წვიმების დროს პორტ-არტურთან ბრძოლა არ შეწყდება. იაპონელთა მთელი საალყო არტილერია უკვე გადმოტანილია ნაპირზე დალნში. იაპონელების მიერ ამ დღეებში აღებული პოზიციები გამაგრებულია. ეხლა იაპონელები სანგრებს აკეთებენ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: 19 ივნისი. დიდის ხნის წვიმების შემდეგ დღეს აქ საშინელი სიცხე დადგა. ყველგან საშინელი ტალახია; მთელი მანჯურია გუბედ გადაიქცა. იაპონიისა და რუსის ჯარის მოძრაობა ერთნაირად გაძნელდა. გზა და გზა სალდათები ფეხით გადიან ნიაღვრის ნაკადულებში; ცხენებს მუცლამდე სწვდება წყალი. ქვეითა ჯარი ამუნიციას იხსნის. მზე მალე გააშრობს გზებს, მაგრამ ჰფიქრობენ, წვიმების პერიოდი დაიწყოო. ქარავნები და არტილერია ტალახში იფლობიან. იაპონელები ლიაოიანს მოუახლოვდნენ. ჰფიქრობენ, დიდი ბრძოლა მალე მოხდება, თუ წვიმამ ხელი არ შეუშალაო. დაუჯერებელი ხმა დადის, იაპონელების რაზმი—20 ათასი კაცი—მუკდენისაკენ მიდის, უნდა რომ ჩვენს ჯარს გზა მოუჭრას ჩრდილოეთისაკენაო.

ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს „რუსკოე სლოვო“-ს: 18 ივნისი. დაშიცაოს ახლო ნიაღვარი და წყალდიდობა მატულობს. საზღვრის დამცველ რაზმის როტმისტრი ნეპომოევი სენიუჩენის გზაზე ერთ მდინარეში ფეხით გადიოდა, წყალმა წაიქცია, მოიტაცა და ყველას თვალწინ დაახრჩო. შველა არ შეიძლებოდა. ხმა დადის, იაპონელები დიდძალ ჯარსა ჰგზავნიან პორტ-არტურისაკენაო.

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: გენ. კუროკის ჯარმა მოტიენლინგის (მოდულინის) უღელტეხილი დაიჭირაო. დაგუშანში რომ არმია გადავიდა, ფინშუალინის მთასთანა დგას; დალინის მთის გადასავალი გენ. ნოძუს უჭირავს. მოტიენლინგის უღელტეხილთან სხვა-და-სხვა ადგილას დიდი ჯარი უდგათ იაპონელებს.

„დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ ფინხუანჩენიდან: გენ. კუროკის ჯარი ხაიჩენისაკენ და ლიაოიანისაკენ მიდისო. რუსები უკან იხევენ; იაპონელები კვალ და კვალ მისდევენ. ამ ჟამად რუსები ლიაოიანს ახლო ჩუშანის გორას ამაგრებენ. („რ. ლ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ლიაოიანიდან: 19 ივნისი. იაპონელების ორი დივიზია გენ. კუროკის უფროსობით ლიაოიანს 30 ვერსტის მანძილზე მიუახლოვდა აღმოსავლეთის მხრიდან. გენ. კუროკს გვარდიის დივიზიაც თანა ჰყავს. („რ. ს.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: ფინშუალინთან ბრძოლის შემდეგ, იაპონელებმა სიმუჩენისაკენ დაახევინეს რუსებს; თუმცა სიმუჩენი ძლიერაა გამაგრებული, მაგრამ მაინც იაპონელების პოზიციები სჯობია; ასე რომ იქნება იაპონელებმა დაშიცაოსა და თითონ ნიუ-ჩუანსაც გზები მოუჭრან ჩრდილოეთისაკენ. გენ. კუროკმა, შეიძლება, ხაი-

ჩენის ჩრდილოეთითაც გაგზავნოს ჯარი. იაპონელები პორტ-არტურთანაც ბეჯითად მოქმედებენ და თან-და-თან უახლოვდებიან ციხეს; იაპონიის არტილერიასა და ჯარს კარგი პოზიციები უჭირავთ პორტ-არტურთან; იაპონელებმა დალნის დასავლეთით სიმაღლეები დაიჭირეს. („რ. ვ.“).

„მორნინგ პოსტ“-ის სამხედრო თანამშრომელი ჰფიქრობს, სამხრეთ-მანჯურიაში მალე უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდებაო. იაპონელებს რომ დიდი ბრძოლა არ ეწადოთ, მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა თავის შტაბით მანჯურიაში არ წავიდოდაო. („ნ.“).

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ჩიფუდან: დალნიდან აქ რამდენიმე ჩინელი მოვიდა; ამ ჩინელებმა გვიამბეს, 18 ივნისს ღამის 3 საათზე იაპონელების 3 დიდი და რამდენიმე პატარა გემი მოვიდა დალნიში და მძიმე ზარბაზნები და პრავიანტი მოიტანა ჯარისათვისაო. 15 ივნისს იაპონელებმა კერის ბუხტაში მე-6 დივიზია—20 ათასი კაცი—გადაიყვანეს. ეს დივიზია კერის ბუხტის ნაპირას დარჩება მაშველ ჯარად.

ივნისის ნახევრამდე იაპონელები მედგრად მოდიოდნენ წინ. დალინისა, მოდულინისა და ფინშუილინის მთის გადასავლები დაიჭირეს და სხვა-და-სხვა გზით გაიჩოუსა, დაშიცაოსა, ხაიჩენისა და ლიაოიანისაკენ გაემართნენ. მაგრამ აქ უცებ შედგნენ და ზოგ ადგილას თითქო უკანაც დაიხიეს. ზოგიერთი რუსული გაზეთი ძლიერ გაახარა ამ ამბავმა. გერმანული გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი აფრთხილებს რუსულ პრესას, მაინცა და მაინც დიდ სიხარულ ნუ მიეცემით, იაპონელებმა, გვგონია, უფრო მოსაჩვენებლად, რუსების მოსატყუებლად დაიხიეს უკანაო. ამბობენ, იაპონელებს დიდმა წვიმებმა შეუშალა ხელიო, მაგრამ იაპონელებმა წინადვე იცოდნენ, რომ ამ დროს მანჯურიაში დიდი წვიმები დაიწყებოდა; ამბობენ აგრეთვე, იაპონელებს შეეშინდათ, რუსებმა გზა არ მოგვიჭრან და ჩვენს ბაზას არ მოგვაშორონო, მაგრამ ეს მოსაზრება არაა ყურადღების ღირსი. რაღა თქმა უნდა, იაპონელ სარდლებს ეს გარემოებაც წინადვე მოფიქრებული ექნებოდათ. გვგონია, რომ იაპონელების უკან დახევა რაღაც ცბიერი მანევრი უნდა იყოს: იაპონელები ისეთ ადგილას აპირობენ რუსებზე დაცემას, სადაც არ მოელიან. ევროპაში ბევრი ჰფიქრობს, იაპონელები იმას ცდილობენ, რომ ლიაოიანს გზა მოუჭრან ჩრდილოეთისაკენაო. („ნ. დ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის აზრი მალე ასრულდა. როგორც მოულოდნელად დაიხიეს უკან, ისე უცებ ერთბაშად წინ გაილაშქრეს იაპონელებმა და რუსის ჯარისაკენ გაემართნენ.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტიანძინიდან: აქ ამბავი მოვიდა, ვითომ ნიუჩუანის ახლო მალე დიდი ბრძოლა უნდა მოხდესო. მაგრამ საეჭვოა, რომ იქ ბრძოლა მოხდეს. ნიუჩუანში რუსებს მცირე პატარა რაზმი ჰყავთ და იაპონელები ადვილად მოუჭრიან გზას ამ რაზმს; ამიტომ ჰფიქრობენ, რომ რუსების რაზმი ნიუჩუანიდან ხაიჩენისაკენ წავაო. („რ. ვ.“).

იაპონიის მთავარ-შტაბმა ოფიციალურად გამოაცხადა: 13—14 ივნისს ჩვენმა ჯარმა ფინშუილინის (დალინის) უღელტეხილის დაჭერის დროს 6 რუსის აფიცერი და 82 სალდათი დაატყვევაო. („ნ. დ.“).

ცნობილი რუსის პოლკოვნიკი მადრიტოვი 27 აპრილს ჩრდილოეთ კორეიაში ქალ. ანჩჟუსთან მოჰკლეს იაპონელებმა. („რ. ი.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: ადმირალი ტოგო პორტ-არტურის ესკადრას ბეჯითად ჰდარაჯობს და ცდილობს, რომ რუსის გემები თითო-თითოდ დააზიანოსო.

დეპეშამ გვაცნობა ამას წინად, იაპონელებმა ფლოტის დახმარებით 10 ათას. ჯარისკაცი გადაიყვანეს ელიოტის კუნძულებზეო. გერმანული გაზეთები ძლიერ აქებენ ადმირალ ტოგოს: ეს საქმე ისე ჩუმად და მოულოდნელად მოახერხეს იაპონელებმა, რომ დიდის ქების ღირსნი არიანო. ამდენ ჯარის გადაყვანა ერთბაშად და უზარალოდ მეტად ძნელი საქმეა; მით უფრო სქებია ადმირალი ტოგოო. („რ. ლ.“).

ფრანგულ გაზ. „ეკო დე შინ“-ს (ჩინეთში გამოდის) გაუგია—იაპონელებმა ნიუ-იორკში ახალი აპარატი იყიდეს და ნორვეგიელების გემით იაპონიაში გაგზავნეს. ეს აპარატი წყალ ქვეშ მავალ ნავებისაგან დაიფარავს სამხედრო გემებს, იაპონელებმა ორი ამერიკელი ინსტრუქტორიც გააყოლეს ამ აპარატსაო. („რ. ვ.“).

სასანიტარო გემ „მონგოლიას“ (ეს გემი პორტ-არტურის რეიდზე დგას) უფროსი ექიმი იუწყება პორტ-არტურიდან: თუ ავადმყოფებსა და დაჭრილებს პორტ-არტურიდან არ წამოიყვანენ, იმათი მორჩენა თითქმის შეუძლებელიაო. ყოველთვის შიშ ქვეშ არიან, მუდმივი ზარბაზნის სროლა ხომ უარესად ავადა ჰხდითო. რუსული სამხედრო გაზ. „კოტლინ“-ი სწერს ამის თაობაზე: გემი „მონგოლია“ ავადმყოფ და დაჭრილ მეომრებით მართლაც და ტყუილად დგას პორტ-არტურში. ყუმბარებ ქვეშ მორჩენა შეუძლებელია. გვგონია, რომ ჟენევისა და ჰააგის კონვენციის თანახმად, „მონგოლია“-ს ნება აქვს, პორტ-არტურიდან შანხაის წავიდეს და იქ დაჭრილები სხვა გემებს გადასცეს რუსეთში წასაყვანად. („რ.“).

„ტაიმს“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსეთმა სთხოვა საფრანგეთის მთავრობას, ნება მიეცით ბალტიის ესკადრას, შორეულ აღმოსავლეთს რომ წავა, საფრანგეთის პორტებში ქვა-ნახშირი დაუდოსო. კორესპონდენტი სწერს: ერთმა მცოდნე კაცმა ამიხსნა, საერთაშორის, კანონების ძალით, ამ თხოვნის ასრულება მხოლოდ ორის პირობით შეიძლებაო. პირველი, ნეიტრალურმა სახელმწიფომ იმაზე მეტი ქვა-ნახშირი არ უნდა დაანებოს მეომარ სახელმწიფოს გემს, რამდენიც პირველ პორტამდე მისასვლელად ეყოფა; მეორე, ქვა-ნახშირს ნეიტრალური სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუთმობს მეომარ სახელმწიფოს, თუ ჰარბადა აქვს ქვა-ნახშირი და თავის საკუთარ გემებისათვის არ დააკლდება. ამბობენ, რუსეთის მთავრობას ქვანახშირის თაობაზე გერმანიასთანაც ჰქონდა გამართული მოლაპარაკებაო. („რ. ვ.“).

„დეილი ქრონიკლ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი სწერს: ბევრ იაპონელს მინისტრსა და გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეს ველაპარაკე და გამოვკითხე, რას მოითხოვს იაპონია, თუ ეხლანდელ ომში გაიმარჯვებს-მეთქი. იაპონელები ერთხმად მიპასუხებდნენ ხოლმე: იაპონია ადგილების დაჭერას არა ჰფიქრობს. ჩვენ მხოლოდ იმასა ვცდილობთ, რომ რუსები ხარბინამდე გავდევნოთ. თუ გავიმარჯვებთ, პორტ-არტურს, პეჩილის ყურეს კუნძულებსა და მთელ მანჯურიას ჩინეთს დავუბრუნებთ; სამხედრო ხარჯებსაც-კი არ მოვსთხოვთო. მანჯურიის რკინის გზასაც კაპიტალისტების საერთაშორისო ამხანაგობას დავუთმობთო. ეგაა, ატანდნენ იაპონელები, კიდევ ბევრი საქმე გვიდევს წინ და ზავის პირობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეაო. („რ. ლ.“).

საზღვარ-გარედ

ინგლისი როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისელთა ლიბერალ-უნიონისტების პარტია ორად გაიყო. კრიზისი ამ პარტიაში კარგა ხანია დადგა, ეხლახან გაძლიერდა და დასრულდა კიდეც პარტიის განაწილებით. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის შინაურ ცხოვრებაში და, შესაძლებელია, ახლო მომავალში საყურადღებო ცვლილება მოხდეს დიდ ბრიტანიის საპარლამენტო განწყობილებაში

კრიზისის მიზეზი—ჩემბერლენის პროტექციონიზმი იყო. ლიბერალები ინგლისში ყოველთვის მტკიცე დამცველნი იყვნენ თავისუფალ ვაჭრობისა და ამ პრინციპს არ ღალატობდნენ არას დროს. თვით მაშინ, როცა წინანდელი ძლიერი პარტია ლიბერალებისა ორად გაიყო (გლადსტონის მომხრეებზე და მოწინააღმდეგეებზე) და ერთი ნაწილი კონსერვატორთ შეუერთდა, უნიონისტ-ლიბერალებმა არ დასთმეს ფრიტრედერთა (თავისუფალ ვაჭრობის მოძღვრების მიმდევართა) პრინციპი და მისწრაფება. მაგრამ, უკანასკნელ წლებში, ლიბერალ-უნიონისტებს, სხვა ცვლილებასთან ერთად, პროტექციონიზმისადმი ლტოლვილებაც დაეტყო. ეს ცვლილება უფრო გაძლიერდა და ლტოლვილება გაიზარდა, როცა ჩემბერლენი ენერგიულად გამოვიდა პროტექციონისტურ სისტემის მქადაგებლად. ლიბერალ-უნიონისტების ერთმა ნაწილმა აშკარად გამოუცხადა ჩემბერლენს თანაგრძნობა და მასთან ერთად ამბობდა: ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობა, დიდბრიტანიის ბატონობა საერთაშორისო ბაზარზე დღითი დღე მცირდება და ერთად-ერთი მიმშველი ღონისძიება პროტექციონიზმის დამყარებაა. პარტიის მეორე—უმცირესი ნაწილი ისევ ერთგული მიმდევარი დარჩა თავისუფალ ვაჭრობისა და ამიტომ ბრძოლა დაიწყო, ჯერ ფარულად, შემდეგ აშკარად და ეხლა პარტია ფორმალურადაც გაიყო. ეს ასე მოხდა: ამ დღეებში პარტიას კრება ჰქონდა გამგე კომიტეტში 36 დელეგატის ასარჩევად. დაიწყო კამათი და იმ წამსვე ცხადი შეიქნა, რომ პარტიას, რამე არჩევნების მოხდენამდე, ერთის დიდის საკითხის გადაწყვეტა ეჭირვება, სახელდობრ: შეუძლია თუ არა არსებობა ლიბერალ-უნიონისტთა პარტიას იმ სახით, როგორადაც დღემდის იყო? ფრიტრედერთა მეთაურად გამოვიდა ცნობილი არტურ ელლიოტი, რომელმაც ცხარე სიტყვით გაჰკიცხა უმრავლესობის „ღალატი“; მას მხარი დაუჭირეს თავმჯდომარემ ლორდ გერფორდმა და რამდენმამე გამოჩენილმა პოლიტიკურ მოღვაწემ. ცხარე კამათის შემდეგ მოხდა კენჭის ყრა: პროტექციონისტებმა გაიმარჯვეს 108 ხმით წინააღმდეგ 64-სა. ფრიტრედერთა უმცირესობამ მაშინვე დასტოვა სხდომის დარბაზი, შეკრიბდა სხვა ადგილას და შეადგინა ახალი პარტია ფრიტრედერ-უნიონისტთა სახელით. ეს სახელი ახასიათებს პარტიის მიმართულებას: იგი იქნება უნიონიზმის მომხრე, ე. ი. წინააღმდეგი ირლანდიის ჰომრულისა, და საფრიტრედერო პოლიტიკურ-ეკონომიურ სისტემის დამცველი. თავის პროგრამის ერთის ნაწილით იგი უახლოვდება ლიბერალთა ოპოზიციონურს პარტიას, მეორე ნაწილით-კი ხელს გაუწვდის კონსერვატორთ. საერთოდ ამ ფაქტს ის თვალსაჩინო შედეგი მოჰყვება, რომ უნიონისტთა პარტია, რომელიც კარგა ხანია განაგებს ბრიტანიის სვე-ბედს, დასუსტდება; ეს მმართველი პარტია უკანასკნელ წლებში ისედაც ვერ იყო ძლიერი და ამიერიდან კიდევ უფრო შემცირდება. ხოლო ეს გარემოება აძლიერებს ლიბერალ ოპოზიციონისტების პარტიას და აახლოვებს საპარლამენტო არჩევანს.

ახალი ამბავი

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით, ერთის აგრონომ-ექსპერტის ხელმძღვანელობით შესდგა განსაკუთრებული დასი, რომელმაც ამ ზაფხულს **ფილოქსერა** უნდა გამოიკვლიოს ტფილისისა, გორისა და დუშეთის მაზრების ვენახებში.

◆ ამას წინად ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მისცეს საზოგადოებას **ტრამვაისათვის ლიანდაგი** გაიყვანოს მუზეუმიდან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე შტაბამდე; აგრეთვე გაიყვანოს ნავთლუხამდე ელექტრონის ტრამვაის ლიანდაგი, ხელ-შეკრულებით დანიშნულ ვადამდე აამოძრაოს ელელექტრონით ვაგონები და რკინის გზის ლიანდაგი შეასწოროს ალაგ-ალაგ. გამგეობამ საზოგადოების თხოვნა განიხილა 25 ივნისს და დაადგინა, მიიღოს უსახელო საზოგადოების წინადადებანი იმ პირობით, თუ საზოგადოება ნება-რთვას მთავრობისაგან თვითონ აიღებს.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** ბორჯომიდან ახალ-ქალაქს აღარ მიდის და 5 ივლისს ტფილისს დაბრუნდება.

◆ ტფილისის ქალაქის **სასანიტარო კომისიაში** მიწვეულ იქმნება სამი წევრი მცხოვრებთა ჯან-მრთელობისათვის მზრუნველ კომისიისა, ქალაქის გამგეობა და სამი წევრი სასანიტარო-სამკურნალო საბჭოსი.

◆ **გორის ქალაქის მამასახლისს** ბ-ნ ანდრონიკაშვილს თანამდებობისათვის თავი დაუნებებია.

◆ 28 ივნისს წყალთა ოლქის პირველ ნაწილის ინჟენერ-ჰიდრავლიკოსი, წყალთა საბჭოს წევრები, მირაბი და ქალაქის წარმომადგენელი შეუდგებიან მიხეილის ქუჩაზე ეგრედ წოდებულ **„ნემეცთა“ არხის** დათვალიერებას. როგორც ვუწყით, ამ არხის გასუფთავებას არა ეშველა რა. ეხლა აზრადა აქვთ, შეიმუშაონ ზომები ამ არხის გასასუფთავებლად.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა საგუბერნიო სასანიტარო კომისიაში რკინის გზის წარმომადგენლად დანიშნა თავისი თანაშემწე ინჟენერი რახმანინი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სასანიტარო კომისიაში საგუბერნიო ადმინისტრაციის წარმომადგენლად დანიშნა წევრი საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოსი ბ-ნი შესტაკოვი.

◆ ტფილისის ქალაქის ინჟენერმა და საელექტრონო ტრამვაის გზის მეთვალყურემ გუშინ აცნობეს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის საამშენებლო განყოფილება არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ უსახელო საზოგადოება როგორ აკეთებს ტრამვაის ახალ ლიანდაგსაო. ამის გამო ლიანდაგი ზოგან, განსაკუთრებით რიყეში, ცუდად კეთდება. მიხეილის და გოლოვინის პროსპექტებზე უსახელო საზოგადოება ქვა ფენილს აკეთებს, მაგრამ ტალახ ნარევ ქვიშას ახმარს, რის-გამო ზოგან ერთი კვირა ვერ გასძლო თურმე ქვაფენილმა.

◆ 24 ივნისს ელისაბედის ქუჩაზე, კაზლოვსკის სახლში ქურდები შეპარულან. ქვედა სართულში მცხოვრებ კაზლოვსკის გაუგონია ხმაურობა და რახუნი მაღლა სართულიდან. ამ სართულში მცხოვრები იმისი ძმა, მოძრაობის უფროსის თანაშემწე, ინჟენერი ო. პ. კოზლოვსკი სახლობით მცხეთაში ყოფილა წასული და შინ არავინ დაუტოვებია. ძმას უფიქრნია, ქურდები არიანო და ასულა მაღლა. ოდნავ მბჟუტავ სანთლის შუქზე შეუნიშნავს ორი კაცი, ძმის სახლში საწოლზე ჩამომჯდარი, რომელთაც გაეტეხათ ის შკაფი, სადაც 5000 მანეთის ძვირფასა ნივთები ყოფილა, და აწყობდნენ ნივთებს რაღაც ჭურჭელში. ქურდებს დაუნახავთ კოზლოვსკი და გამოცვივნულან. კოზლოვსკის ერთისათვის ხელი უტაცნია და ბალკონში გაუთრევია. მაგრამ ქურდი გადამხტარა მეორე სართულიდან და ორივე დამალულან. პოლიციის გამოძიებით ამ ქურდობაში მონაწილეობა მიუღიათ სენაკის მაზრის მცხოვრებ პავლე შენგელიასა და პლატონ ისაკიას, რომელთათვისაც მიუსწავლებია კოზლოვსკის ყოფილ მსახურს სევერიან კოტოშიას. ქურდების დასაჭერად ზომებია მიღებული. ქურდებს 400 მანეთის ნივთების წაღება მოუსწრიათ მხოლოდ.

◆ რედაქციას მოუვიდა „მოულოდნელი სიკვდილი“ ანეტა კაპანაძისა. პაწაწკინა წიგნაკია, სულ ორიოდე ფურცელს შეიცავს და ორ შაურად-კი ღირს.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ დაურიგდებათ **სურათებიანი დამატება**. შინაარსი: „დამნაშავე“, მოთხ. ნინო ნაკაშიძისა; სურათები: ნ. დუბროვინისა, გურიის მთავარი ვახტანგ, თეიმურაზ პირველი, ფომინისია ბერიძე, „განხორციელდება იმედი“ და ერთი კარიკატურა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 26 ივნისი. ქალაქის საბჭომ საგანგებო სხდომაზე დაადგინა: ვერცხლის გვირგვინით შეამკოს განსვენებულის სამსონ თოფურიას კუბო, დაასაფლაოვოს იმისი გვამი საზოგადო ხარჯით და ერთ-ერთ ქუჩას თოფურიას სახელი უწოდოს. განსვენებულის გვამს დღეს საღამოს მოასვენებენ ქუთაისში.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ ქუთაისის ბაზარზე აუარებელი პარკი მოაქვთ. მყიდველებმა ფარდულები სულ აავსეს. ფასები საზოგადოდ ყველგან კლებულობს: 13 და 13-50 კაპ.-დან დღეს ფასები 10 და 11 მან. ჩამოვიდა. კერძო ვაჭრები სცდილობენ კიდევ უფრო დასწიონ ფასები და, აი, ახლა ჰმართებს ქუთაისის გუბერნიის ამხანაგობებს ამ ფასის დაცემას ხელი არ მეუწყონ, რომ წელს ისედაც ნაზარალებ აბრეშუმის მწარმოებლებს მთლად არ აზარალონ მეპარკეობა. წლევანდელ ფასებით ხალხი ძალიან გულ-ნაკლულია.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ქუთაისში ახლად დაარსებულ ქალთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების „შრომის“ წესდება.

ბათუმის ქალაქის საბჭო

21 ივნისი

21 ივნისს ბათუმის ქალაქის საბჭოს უკანასკნელი კრება იყო ამ ზაფხულში. ქალაქის მოურავის პეტერბურგში ყოფნის გამო თავმჯდომარეობდა მოადგილე ი. ა. ივანოვი, რომელმაც საბჭოს აუწყა უეცარი გარდაცვალება გუბერნატორის ახლად დანიშნულ თანაშემწის პოლკოვნიკი ბარონ უნგერნ-შტენბერგისა. მერე წაკითხულ იქმნა დეპეშა ქალაქის მოურავისა, რომელიც ნებას თხოულობდა საბჭოსაგან თვითმმართველობის სახელით მიელოცნა გენერალ ქილინსკისათვის (ბათუმში ჭაობიან ადგილების დამშრობელი) ორმოცდა ათის წლის იუბილეს დღესასწაული. საბჭომ ნება დართო. მორიგი საქმეები უნდა დაწყებულიყო ძლიერ საინტერესო მოხსენებით სარევიზიო კომისიისა, რომელმაც განიხილა გამგეობის მიერ საქმის წარმოება 1902 წლის განმავლობაში; მაგრამ ეს საკითხი გადაიდო, რადგან ეს მეორეთაა კრებას

არ დასწრებია საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი პანასევიჩი. ამბობენ, ძლიერ საინტერესო ცნობებია ამ კომისიის მოხსენებაშიო.

ქალაქის მოურავი პეტერბურგში მიწვეულია მონაწილეობის მისაღებად იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც აგროვებს მასალას და ცნობებს ნავთსა და ნავთისაგან მომზადებულ სხვა-და-სხვა ზეთების ტარიფის გასათანასწორებლად შინაგან ტარიფთან. საბჭომ ნება დართო გამგეობას, საჭირო ფული გადაედო იმ სამი ათას მანეთიდან, რომელიც გამგეობის განკარგულებაშია. გამგეობას იმდენი უნდა დაეხარჯა ამ ფულიდან, რამდენიც საჭირო იქნებოდა. ბოლოს ანგარიშიც უნდა წარმოედგინა. სამწუხაროდ, ბათუმის გაზეთმა, ჩვეულებისამებრ, სრულიად გადაამახინჯა ეს ფაქტი და ასტეხა დაურიდებელი განგაში, ქალაქის თავს სამი ათასი მანეთი უანგარიშოდ მიეცაო. ბათუმის საოლქო საქალაქო საქმეთა საკრებულომ კანონიერად არ იცნო ის წყაროები, რომლიდანაც გადაიდო ეს სამასი თუმანი (ქალაქის მოურავმა ცალკე აზრი შეიტანა ამაზე) და საბჭოს წინადადება მისცა, ახალი დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინოს, რაც ამ საღამოს მოხსენდა საბჭოს და ისიც ეუწყა, რომ ხარჯთ-აღრიცხვა კიდეც შედგენილია და სადაც ჯერ არს წარდგენილიაო. ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა წინადადება მისცა გამგეობას, ტელეფონი მოეწყო ქალაქის ხარჯით ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა უფროსის თანაშემწისა, აქაურ ბრალმდებლის თანაშემწისა და ბათუმის დამცველ რაზმის უფროსის სადგომებში. გამგეობამ მოახსენა საბჭოს ეს წინადადება. რამდენიმე ხმოსანი შეეკითხა, რა აზრისაა, ამის შესახებ გამგეობაო. თავმჯდომარე გზას უხვევდა პასუხს, ასე რომ იძულებული გაჰხდა ერთი ხმოსანი წამოეძახნა: „გამაგებინეთ ერთი, გვყავს ჩვენ გამგეობა თუ არაო“?! შემდეგ საბჭომ დაადგინა, შეკრებილ იქნას ცნობები, როგორ მოქცეულან სხვა ქალები ამგვარ წინადადების მიღების დროს.

თუმცა სანავთო ქალაქი ჯერ არაა მოწყობილი იმ გეგმის თანახმად, რომელიც უკვე დამტკიცებულია, მაგრამ ამ რაიონში ერთობ ბევრი შენობებია აგებული და ახლებიც შენდება. გამგეობა დასაფასებელ გადასახადს აღებს ამ შენობებს და ამ უბნის სათვალყუროდ ნიშნავს ცალკე აგენტს ჯამაგირით. დიდი ლაპარაკი გამოიწვია საზაფხულო ნიხრის გადაწყვეტამ. ქალაქს აქვს ხორცის დუქანი, რომელმაც უკანასკნელ ოთხ თვის განმავლობაში ქალაქის კასსას ზარალი მისცა ათას-ცხრაასი მანეთი. წინადაც ასე იყო. ზოგიერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ დუქანი დაიკეტოს. კამათის დროს გამოითქვა ის აზრიც, რომ ნიხრი სრულიად მოისპოს. ბოლოს გადასწყვიტეს ასეთი ნიხრი: ხორცი განურჩევლად ხარისხისა გირვანქა—13 კაპ., პური პირველ ხარისხისა—$3\frac{1}{2}$ კაპ., 2 ხარისხისა—3 კაპ. და მესამე ხარისხისა—$2\frac{1}{2}$ კაპ., თორნის პური—4 კაპ. ქალაქის სტიპენდია (ამ წლიდან დაინიშნა განსვენებულ ლუკა ასათიანის სახელობაზე) მიეცა დავით მჭედლიშვილს, შვილს ბათუმის საბჭოს ხმოსნად ნამყოფ ლევან მჭედლიშვილისას. ნურიაში სანოვაგე დუქნების ნოქრებმა სთხოვეს საბჭოს მათაც სხვა დუქან-მაღაზიების ნოქრებისავით მისცემოდათ უქმე-დღეებში დასვენება. საბჭომ გამოსთქვა თანაგრძნობა, მაგრამ საუმჯობესოდ სცნო, რომ ეს საქმე სანოვაგის ვაჭრებს თვით მოეწესრიგებინათ ნოქრებთან შეთანხმებით.

პრესსა

პეტერბურგის ყველა გაზეთებს ერთი და იგივე ადგილი მოჰყავთ თავ. მეშჩერსკის უკანასკნელ დღიურიდან,—ზოგს გულისწყრომით, ზოგს დაცინვის კილოთი. საქმე აი რა არის: „ნოვ. ვრ.“ ამას წინად ამბობდა, „ახლანდელს ომში რუსეთს არავითარი ანგარება არა აქვს აზრადაო“. თავ. მეშჩერსკის არ მოსწონებია ეს ფრაზა და თავისებურის გულახდილობით სწერს:

> რა ფილოსოფიური აზრი უნდა იმალებოდეს ამ ბილწ ფრაზაში? იქნება იმის თქმა უნდოდათ, რომ რუსეთი რაღაც წმინდანი, ზეციური სახელმწიფო უნდა იყოს, რომლის საზრდელია „მკალი და თაფლი ველური“, და უანგარობისათვის უნდა ეწამოს?! მე ვფიქრობ, რომ ასეთი შეხედულება სასაცილოა.
>
> ხშირად იმეორებენ: რუსეთს ანგარება არა აქვს აზრადაო. მაშ მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რისთვის-და და რა აზრით გადაიქცა რუსეთი ასეთ დიდ სახელმწიფოდ ან რისთვის აქვს ორ-მილიარდიანი ბიუჯეტი?! ნუ თუ უანგარობით უნდა ავხსნათ ევროპის პატარა რუსეთის უდიდეს იმპერიად გადაქცევა?!
>
> თანახმა ვარ, რომ არა ანგარების განზრახვით ვებრძოდით თათრებს: გვინდოდა თავიდან მოგვეშორა მათი მძიმე ბატონობა; არა ანგარების მიზეზით ვეომეთ ოსმალეთს, არამედ გვინდოდა ჩვენის ძმების—სლავიანების—განთავისუფლება, მაგრამ, ნუ თუ ციმბირიც, მალოროსსიაც, ნოვოროსსიაც, ყირიმიც, კავკასიაც, პოლონეთიც, ოსტზეის მხარეც და ფინლიანდიაც არა ანგარების განზრახვით დავიპყრეთ?! ყოველი გონიერი ადამიანი სიცილს დაიწყებს ასეთს რწმუნებაზე და სასაცილოც არის ჩვენის დიპლომატებისა, გაზეთების, სახელმწიფო მოღვაწეებისაგან დაჟინებით ამის გამეორება, ვითომ რუსეთი ყოველთვის უანგაროდ იბრძვის...
>
> მე არ შევხვედრივარ რუსეთში ადამიანს, რომელსაც თავისი კერძო სარგებლობა უარეყოს. ეს არც არის შესაძლებელი მაშ, როგორ მოხდა, რომ ამ ადამიანთა შემაერთებელი სახელმწიფო სულ უანგაროდ სცხოვრობს?! რასაკვირველია, ეს უაზრობაა: არ არის ადამიანი, რომელიც თავის კერძო სარგებლობას არ დაეძებდეს; ამგვარადვე არ არის და არც შეიძლება იყოს სახელმწიფო, რომელიც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ანგარების განზრახვით არ ხელმძღვანელობდეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ოდესკ. ნოვ.“-ს სწერენ ბობრინსკის მაზრიდან, რომ ადგილობრივი მცხოვრები გლეხები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან ხანგრძლივ გვალვის გამო. გლეხების საქონელი შიმშილით იხოცება. ამას წინად გლეხებს შეურეკიათ თავისი დამშეული საქონელი მეზობელ მემამულის სათიბებში. მემამულემ ეს ამბავი პოლიციას აცნობა. მოვიდა ბოქაული 18 პოლიციელით და, სათიბებს რომ მიუახლოვდა, დაინახა საქონელი და 50—60 გლეხი, რომლებიც იმ წამსვე მისცვივდნენ პოლიციელთ. ბოქაულმა შესძახა გლეხებს, უკანონოდ ნუ იქცევითო; ამის საპასუხოდ ხალხმა ყვირილი ასტეხა და ჯოხები დაუშინა პოლიციელთ. ბოქაული წაიქცა. პოლიციელებმა ხმლები იშიშვლეს. გლეხება ჯოხებით ჩხუბობდნენ, ზოგიერთს რევოლვერებიც ჰქონდა და რამდენჯერმე გაისროლეს. 4 გლეხი დაიჭრა ხმლებით. ბოქაული წამოხტა ფეხზე, უეცრად შეახტა ცხენს, გააჭენა და თავს უშველა. პოლიციელებიც გაიქცნენ და გზა-და-გზა ისროდნენ რევოლვერებს ხალხის დასაშინებლად, რომელიც იმათ სდევდა. მეორე დღეს სოფელში მოვიდნენ მაზრის უფროსი, პროკურორი და გამომძიებელი საქმის გამოსაძიებლად.

◆ ქ. ბერდიჩევიდან სწერენ „კიევსკ. სლ.“-ს, რომ ქესატობის გამო მრავალი მუშაა იქ დარჩენილი ულუკმა-პუროდ. ბევრმა მათგანმა მათხოვრობასაც მიჰყო ხელი. ადგილობრივმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ სასადილოები გამართა, მაგრამ შეძლება არა აქვს ყველა დამშეულთ გაუწიოს დახმარება. სიმფეროპოლიდანაც სამწუხარო ამბებს იწერებიან უსაქმოდ დარჩენილ მუშების შესახებ. მრავალ მუშას მოუყრია იქ თავი და ამაოდ ეძებენ სამუშაოს. რამდენიმე ათასი კაცი ყოფილა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი.

◆ გაზ. „ს.-პეტერბ. ვედ.“-ის კორესპონდენტს შემდეგი არა ჩვეულებრივი სურათი უნახავს ქალაქ მაიკოფში (ყუბანის ოლქი.). მრავალი სოფლის ახალგაზდა ქალი ესეოდა ქუჩაში ვიღაც უცნობ კაცს, უყვიროდა, ლანძღავდა და სდევნიდა რიღაცასთვის. გამწარებული კაცი ახლო რესტორანში შევარდა და იქ დაიმალა. ეს უცნობი კაცი ადგილობრივი მემამულე გამოდგა, რომელსაც დაექირავებია სოფლის ქალები თავის მამულში სამუშაოდ და ანგარიშის გასწორების დროს დაუკლია ყველა ამათთვის ხვედრი ფული.

სასამართლო

I

25 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე დიდ-ჯიხაიშის მცხოვრების მემამულის თავ. ივანე წულუკიძის მოკვლის შესახებ. როგორც ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, მკვლელნი ჩასაფრებულიყვნენ ნაბოდნარში სოფ. დედალოურსა და ხონს შუა, ესროლათ თოფი თავ. წულუკიძისათვის და იქვე მოეკლათ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ თავ. წულუკიძეს ფული სჭირებია და 1902 წ. და 1903 წლის დასაწყისში თავის მამულის რამდენიმე ნაჭერი მიუყიდნია გლეხების თომა სხუმუძიას, ლუკა გველესიანისა და სხვებისათვის. ამასთან თავადს გლეხებისათვის უბრალო შინაური ქაღალდები მიუცია. 1903 წელსვე თავ. წულუკიძეს მოუსურვებია ამ მამულის ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავება 8000 მანეთად. როდესაც ბანკის დამფასებელი და მიწის მზომელი ჩასულან სოფელში მამულის შესაფასებლად, გლეხებს უთქვამთ, ამ მამულის ზოგიერთი ნაჭერი ჩვენ გვეკუთვნისო. დამფასებელსა და მიწის მზომელს უთქვამთ, მაგაზე განცხადება შეიტანეთ ბანკშიო. გლეხები სწორედ ასე მოქცეულან და უთხოვნიათ ბანკისათვის, სესხს ნუ მისცემთ თავ. წულუკიძესაო. თავ. წულუკიძეს, გაუგია რა ეს ამბავი, სოფლელებისათვის უთხოვნია წინააღმდეგობა არ გაეწიათ, მაგრამ გლეხებს, რა თქმა უნდა, თავისი არ დაუშლიათ. ამის შემდეგ, როდესაც თავ. წულუკიძე სოფლიდან დაბრუნებულა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუკლავთ. სამართალში მისცეს სამი გლეხი ელიზბარ ჭოლოკავა, თომა ქოშობაძე და ლუკა გველესიანი. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ მხოლოდ ორი იცნო—ჭოლოკავა და ქოშობაძე და მიუსაჯა კატორგაში გაგზავნა თითოს თორმეტ-თორმეტის წლით. საქმის გარჩევის დრო ჭოლოკავა გამოტყდა, რომ მე მოვკალი თავადიო. პალატაში ბრალმდებელმა უარი განაცხადა ქოშობაძის ბრალდებაზე, ასე რომ პალატამ დამნაშავედ ამ საქმეში მარტო ერთი კაცი ჭოლოკავა იცნო, რომელსაც მიესაჯა 10 წლით კატორგაში გაგზავნა.

II

22 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოს დაუბრუნდა უკან პალატიდან საქმე ხმოსნის ბუდაღოვ-ბაგდასაროვისა, რომელსაც ქალაქის სავაჭრო პოლიციის აგენტი ირაკლი ფურცელაძე უჩივის ცილის დაწამებას. ეს საქმე რამდენისამე თვის წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ, თანახმად ბაგდასაროვის ვექილის ბ-ნ კარაბეგოვის თხოვნისა, მოსპო იმ საბუთით, რომ ფურცელაძის ვექილს, ბ-ნს რცხილაძეს, საქმის დაწყებისას შესაფერი რწმუნების ქაღალდი არა ჰქონდაო. ეს დადგენილება განსაჩივრებულ იქმნა პალატაში და პალატამ სცნო, რომ ვექილის ბ-ნ რცხილაძის რწმუნების ქაღალდი სრულიად საკმარისი იყოვო, და ამიტომ დაავალა ოლქის სასამართლოს ხელ-ახლად გაარჩიოს ეს საქმე.

წერილები

რაჭა. თან-და-თან უფრო გაჭირვებაში ვარდება რაჭველი გლეხი. რაც დრო გადის, მცხოვრებთა რიცხვი მატულობს, მიწა-კი უფრო კლებულობს, რადგან ყოველ წელს ნიაღვარი რეცხს. უადგილო მუშა მაინც ფხეკს თოხით აქა-იქ დარჩენილ მიწას და სთესს ზედ სიმინდს ანუ პურს. როცა მიკითხავს ხოლმე რაჭველი მუშისათვის: კაცო, მა სალ კლდეზე რომ სიმინდს სთესს, ხომ ტყუილად დაგეკარგება შრომა, მადანა სიმინდი ტაროს როგორ გამოიბამსმეთქი,—უთქვამს: ვიცი, ბატონო, რომ ტაროს ვერ გამოიბამს აქ ნათესი სიმინდი, მაგრამ ჩალა ხომ მოვა საქონლის საკვებადაო, უპასუხნია ხოლმე მუშას. გლეხი თავის შრომას აღარ ანგარიშობს, სამჯერ უნდა გასთოხნოს სიმინდი, ტაროს არ ელის და მარტო ჩალისათვის უნდა იწვალოს, ამაზე მეტი გაჭირვებაღა შეიძლება? რაჭველ მუშას რომ მიწა სამყოფი ჰქონოდა, იმის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა. სულ ყოველ წელს პირნახულის ყიდვამ წელში გასწყვიტა. გლეხმა იცის, რომ ექვს თვეს გამოჰკვებავს ოჯახს თავისის სიმინდით, მას შემდეგ-კი სულ უნდა იყიდოს; ამიტომ ჰყიდის ქათამს, კვერცხს, ღვინოს (თუ აქვს) ყველს და სხვას და იმის ნაფასურით ჰყიდულობს პირნახულს.

ამ ორი კვირის წინად სოფ. კვაცხუთში შემდეგი ამბავი მოჰხდა: ორ ძმას გოგოლაძეებს ჩხუბი მოსვლიათ ოჯახში, არა შენ მეტსა სჭამს სიმინდს და არა შენაო. უძვრია ერთ ძმას დანა და მეორე რამდენგამმე დაუჭრია, რომლის გადარჩენაც ძლიან საეჭვოთ ნიაჩნიათ.

ვ. ჭიჭინაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივნისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). სერიოზულ ბრძოლის შემდეგ გენერალმა ოკუმ 25 ივნისს დაიჭირა გაიჩოუ.

ხარბინი. მთელი დღე წვიმს; ცხადია, ხანგრძლივ წვიმების დრო დადგა. მოვიდა სენატორი ნარიშკინი ადგილობრივ წითელ ჯვრის დაწესებულებათა სარევიზიოდ.

25 ივნისი.

პეტერბურგი. 25 ივნისს მობრძანდნენ პეტერბურგს ბერძენთა დედოფალი, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული უავგუსტოეს მეუღლით და ასულებით და საბერძნეთის პრინცი ქრისტეფორე.

სტამბოლი. ბიტოლიიდან იუწყებიან, რომ იქ ბრძანება მოსვლიათ, დაითხოვონ რედიფის ბატალიონები.

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან). სარწმუნო წყაროებიდან უარ-ჰყოფენ იმ ხმას, რომელიც „კორესპონ. ბიურო“-ს სააგენტომ გაავრცელა, ვითომ ოხრიდის ოლქში შიმშილობის ამბავი გაზვიადებული იყოს. პირიქით—მცხოვრებნი დიდ-გაჭირვებაში არიან და შიმშილობამ სხვა ადგილებშიაც იჩინა თავი.

სტამბოლი. ხმა არის, რომ რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა მოლაპარაკება გაჰმართეს ოსმალეთის მთავრობასთან რეფორმების შემოღების შესახებ აზიის იმ პროვინციებში, სადაც სომხები სცხოვრობენ.

კიევი. ქალაქის საბჭომ აარჩია კომიტეტი, რომელსაც დაევალა იმპერატორის ალექსანდრე მეორის ძეგლის აგება.

პარიზი. „ჟურნალ ოფისიელ“-ში 29 ივნისს დაიბეჭდება დეკრეტი კონგრეგაციების დახურვის შესახებ. კანონის ასრულებას დაუყოვნებლივ შეუდგებიან იმ ადგილებში, სადაც კონგრეგაციების სკოლების მაგიერობის გაწევა შეუძლიათ საერო სკოლებს.

სოფია (ოპოზიც. წრეებიდან). სომეხთა პატრიარქმა ისევ წარუდგინა პორტას წინადადება, უნდა მიიღოთ ენერგიული ღონისძიებანი სომეხთა სიცოცხლის და ქონებისა დასაცველადაო.

26 ივნისი

სტამბოლი. რუსეთის ელჩი ზინოვიევი მიიღო სულთანმა თანამდებობაზე დაბრუნების გამო.

ბაქო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოწვეულ ექიმთა საჭირო რიცხვი, თვითეულს თვეში 200 მან. ჯამაგირი დაუნიშნოს და დროებით აღარ გაანთავისუფლოს ექიმები სამსახურიდან საბჭომ განუსაზღვრელი კრედიტი გაუხსნა გამგეობას სანიტარულ საჭიროებათათვის. ნავთსადგურის გამგეობამ დაადგინა გაასინჯვინოს ყველა გემები, რომლებიც ნავთსადგურში შემოვლენ.

ხარკოვი. გუშინ ხარკოვის ოლქის სასამართლოში ჩვენება ჩამოართვეს მოწმეებს საჩივრის გამო, რომელიც აღძრეს ილიჩენკომ და ადამოვიჩმა ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისა და რიაბუშკინისა და კორვნევის სამანუფაქტურო ამხანაგობის წინააღმდეგ. მომჩივანნი ამტკიცებენ, რომ უკანონო იყო 25 ივნისს 1901 წელს შემდგარი საგანგებო კრება ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკის აქციონერებისა, რომლის დადგენილებით აღიძრა სისხლის სამართალში ცნობილი საქმე ხარკოვის ბანკებში ბოროტ-მოქმედებათა შესახებ. მომჩივანი ამტკიცებს, რომ აღნიშნულ კრებაზე აქციონერების მაგიერ სულ სხვა პირნი დაესწრნენ. მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ რიაბუშკინის ამხანაგობამ თავის ოჯახის წევრთა და მოსამსახურეთ დაურიგა განსვენებულ ალჩევსკისაგან ნაყიდი 3,200 აქცია და ამას გარდა 2,600 აქცია, რომელიც სავაჭრო ბანკმა ხელ-ახლად დაუგირავა რიაბუშკინის ამხანაგობას. ამნაირად აღნიშნულმა ამხანაგობამ ხმათა უმეტესობა შეადგინა.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივნისი

გექსილის კურსი 18 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,55	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	$6-7\frac{1}{2}\%$	
4% სახელმწიფო რენტა	$92\frac{1}{2}$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4\frac{1}{2}\%$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$87\frac{3}{4}$	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	384	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	300	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$263\frac{3}{4}$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}\%$ ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4\frac{1}{2}\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$87\frac{7}{8}$	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	193	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ახალი გახსნილი

სასტუმრო არკადია ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემ ნარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—35)

შპალერების დეპო

პ. ლანპოსი.

გოლოვინის პროსპ., მირიმანოვის სახლი.

ყოველ-კვირა ვიღებ შპალერებს, თითო ნაჭერი 10 კაპ. დაწყებული; იქვე ყოველგვარი დეკორატიული მასალა: ბორდიური, ბაგეტი, რაზასი და სხვა. (3—1)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-ში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (15—6—3)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—49)

ტფილისელ ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საზოგადოების ნამდვილ წევრთა საყურადღებოდ, რომ გამგეობამ მოაწყო სამკურნალო დახმარების საქმე წევრთა და იმათ ოჯახთათვის. საზოგადოების ექიმებათ არიან: ა. პ. კარაპეტიანი (მიხეილის პროსპ., საკ. ს., № 94). და ი. ი. ოსტროვსკი (მიხეილის პროსპ., № 130). კბილის ექიმები: ა. ა. მაისურიანი (სერგიევის ქ., № 3), გ. ს. კლებანსკი (ელისაბედის ქ., № 56). საჩეკო წიგნებისა და სამკურნალო შემწეობის წესების მიღება შეიძლება გამგეობის კანტორაში (განოვის ქ., სახლი ა. ფრიდონოვისა) 1-ლ ივლისიდან.

საზოგადოების გამგეობა, წესდების მე-18 §-ის ძალით, სთხოვს ბ-ნ წევრებს იზრუნონ და დროზე წარმოადგინონ წლიური შემოსატანი.

საზოგადოების სამკითხველო ამა წლის 1 ივლისიდან გაღებულ იქმნება ყოველ დღე დილით 7—11 საათამდე და საღამოთი 6—11 საათამდე. კვირა-უქმეობით: დილით 9—2 საათამდე, საღამოთი 5—8 საათამდე. (3-- 239—2)



ევალდ იანკოვსკი

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის. ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.
(30—12) **ტელეფონი № 281.**

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 28 ივნისს, დღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რიყე ქვისა და ქვიშის გასატანად.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 1 საათამდე. (3—6.—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ბუხჰალტერიისა და საკონტორო ცოდნათა კურსები
ტფ. საკომერციო სასწავლებელთან
(მეხუთე წელიწადი)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო კანონმდებლობას. **წავლა დაიწყება 1904 წ. 15 სექტემბრიდან.** კურსები არა ნაკლებ 6 თვისა გაგრძელდება. სწავლება საღამოობით, კვირაში სამჯერ. კურსებზე მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

სწავლის ფასი 40 მან. მთელს კურსში.

თხოვნებს საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე იღებენ ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში. (5—4)

ფირფიტები აპარატები
უმაღლესის ხარისხისა
ყველას აქვს ფაბრიკის მარკა „მწერალი ამური“.

კავკასიის უმთავრესი სააგენტო
სააქციონერო საზოგადოებისა **გრამმოფონი**
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



კონკურენციის გარეშე!!
გრამმოფონი „ტონარმ“
მემბრანით „ექსიბიშენ“

მემბრანის „ექსიბიშენ“-ის მეოხებით გრამმოფონი-ტონარმ იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ** სახის აპარატები

მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა!

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა“ „ექსიბიშენის“ მემბრანით შემდეგია:
ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!!

გრამმოფონ „ტონარმ“'ს „ექსიბიშენის“ მემბრანით ოთხი ტიპი აქვს
100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე
„გიგანტ“,
რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუიმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი**. ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი“** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გეგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჟანრისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემათ; ამასთან **„გრამმოფონის“** საზოგადოება ჰყიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც გადაცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებენ

✦ **კონკურენციის გარეშე** ✦

კატალოგები მსურველთ უფასოდ **ეგზავნება.** ეხლახან გამოვიდა და ისყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. **რუსული რეპერტუარი.** ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის **არიებისას, რომანსებისას,** სიმღერებისას, ანსამბლებისას, ხოროებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. **ამ კრებულის მეოხებით** ყოველს მსმენელს შეეძლია გაიგონოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ. (20—12)

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან $10^{0}/_{0}$ გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა $6^{0}/_{0}$-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—23)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწყებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი ($^{1}/_{20}$) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი ($^{1}/_{2}$ ვედრისა), ჭურჭლის ზე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით [illegible]ენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—3[illegible]—16)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—24). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებლო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

60—189—51) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი.

Доз. цензурою. 26 Іюня 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის. Электропеч. Груз. Изд. То—ва